

სამცხე ჯავახეთის რეგიონში დაგეგმილი ჰიდრო ელექტროსადგურები

ნოემბერი, 2010


შესავალი

2010 წლის 7 იანვარს გამოქვეყნდა მდინარე მტკვრის ზედა შენაკადზე დაგეგმილი ჰიდროელექტროსადგურების (ჰესი) კასკადის მშენებლობის წინასწარი ტექნიკურ-ეკონომიკური დახასიათება, რომელიც შესრულებულ იქნა ავსტრიული საკონსულტაციო კომპანია პოურისა და ქართული გროსენერჯის მიერ.

მტკვრის ზედა შესართავის ჰიდროელექტროსადგურების კასკადის¹ შემადგენლობაში შედის ნიალას, ხერთვისისა და ასპინძის ჰესები. კასკადი მოიცავს ორი დიდი და ერთი მცირე ზომის რეზერვუარისა და ხუთი კაშხლის მოწყობას. პროექტის განხორციელების ორი გეგმა არსებობს: **1.** სამივე ჰესის მშენებლობა; და **2.** ორი ჰესის მშენებლობა ნიალას საქაჩი სადგურის გარეშე.

პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ტექნიკური დავალება

Figure 1.3 River Mtkvari upstream energetic potential usage scheme Plan (Stage A)



თბილისი, 0179, საქართველო
ვალისაშვილის ქ. 27/29, II სართ.
ტელეფონი: (995 32) 29 27 73
ფაქსი: (995 32) 22 38 74
ელ.ფოსტა: greenalt@greenalt.org
ვებ-გვერდი: www.greenalt.org

¹ http://www.uppermtkvaricascade.com/docs/R-2010_003_Georgia_Upper_Mtkvari_Hydropower_Cascade_final.pdf

თანდართული სატენდერო დოკუმენტებით დამტკიცებულ იქნა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისა და ევროპის საინვესტიციო ბანკის მიერ, შესაბამისად აღნიშნული ბანკები შესაძლოა მომავალში დაინტერესდნენ აღნიშნული პროექტის დაფინანსებაში მონაწილეობით.

პროექტის ტექნიკური აღწერა და საერთაშორისო გამოცდილება

	დადგმული სიმძლავრე (მგვტ)	წლიური გამომუშავება (გგტ/სთ)	სადაწნეო გვირაბის სიგრძე (მ)
ხერთვისი ჰესი	81.6	509.4	19.400
ასპინძა ჰესი	55.2	332.6	12.400
ნიალას საქაჩი სადგური	82/90	362.4	2.560

საპროექტო დოკუმენტაციის თანახმად, მდ. მტკვრის ზედა შენაკადზე დაგეგმილი ჰიდროელექტროსადგურების (ჰესი) კასკადის მშენებლობის პროექტისთვის, ისევე როგორც სამცხე ჯავახეთის რეგიონში სხვა ჰესების (მტკვრისა და ფარავნის ჰესები) მშენებლობის პროექტებისთვის არჩეულ იქნა სადაწნეო-სადერივაციო გვირაბების საშუალებით მდინარის წყლის შედინების განაწილების მეშვეობით ელექტროენერჯის გამომუშავების მეთოდი.

პროექტის თანახმად, **ხერთვისის ჰიდროელექტროსადგურის (ჰესი)** სათავე ნაგებობის განთავსება იგეგმება ხერთვისის ციხიდან დაახლოებით **400-500 მ** დაშორებით მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროზე (სოფ. ტოლოშიდან დაახ. **700მ**, სოფ. ხერთვისის პირდაპირ), რეზერვუარის მოწყობა კი მდ. მტკვარზე (თურქეთ-საქართველოს საზღვარი) ოლოდას სამონასტრო კომპლექსიდან **800 მ**-ის დაშორებით, სადაც მოეწყობა **86.5 მ**-ის სიმაღლის კაშხალი. აღნიშნული კაშხლიდან მდ. მტკვრის შედინების გადაქაჩვა მოხდება **19.4 კმ** სიგრძის სადაწნეო გვირაბით ხერთვისის ჰესისკენ.

ასპინძის ჰესის მშენებლობა იგეგმება მდინარე მტკვარზე სოფ. რუსთავიდან დაახ. **4 კმ**-ის დაშორებით, სადაც მოეწყობა მცირე ზომის რეზერვუარი. **10 მ** სიმაღლის ბეტონის კაშხლის მოწყობა კი იგეგმება ასევე მდ. მტკვარზე სოფ. ტოლოშიდან **1.7 კმ**-ის დაშორებით საიდანაც მოხდება **12.4 კმ**-იანი სადაწნეო გვირაბის საშუალებით წყლის გადაქაჩვა ასპინძა ჰესისკენ.

ნიალას საქაჩი სადგურის განთავსება იგეგმება მდინარე არდაგანზე, სადაც ასევე მოეწყობა რეზერვუარი და კაშხალი. აღნიშნული რეზერვუარის შესავსებად დაგეგმილია **2560** მეტრის სიგრძის სადაწნეო გვირაბის მოწყობა, რომელიც მოახდენს წყლის აქაჩვას თურქეთ-საქართველოს საზღვარზე არსებული რეზერვუარიდან.

სადაწნეო-სადერივაციო გვირაბების საშუალებით მდინარის წყლის შედინების განაწილების მეშვეობით ელექტროენერჯის გამომუშავების კანადაში არსებული მაგალითების ანალიზის საფუძველზე “დეი ენდ ქუინის” (1992)² მიერ გამოვლენილ იქნა შემდეგი სახის უარყოფითი ზემოქმედებები:

- ეკოლოგიური და სოციალური ზემოქმედება;

² “Inter-Basin Water Transfer: case studies from Australia, United States Canada” 12.15. “Impact of the diversion Projects”; Page 281 http://books.google.ge/books?id=6EBM2a6R9igC&pg=PA281&lpg=PA281&dq=impacts+of+diversion+HPPs&source=bl&ots=sXhqPit35p&sig=frmPFIWx4nCY0oGw6vba6QGG3k8&hl=ka&ei=XFSOTIYH8_CswaNx9GvCA&sa=X&oi=book_result&ct=result&resnum=2&ved=OCBYQ6AEwAQ#v=onepage&q&f=false

როგორც წესი პროექტის შემუშავება და განხორციელება ისე ხდება, რომ ეკოლოგიური და სოციალური საკითხები არ არის დეტალურად შესწავლილი და არ არსებობს შესაბამისი საპროექტო დოკუმენტაცია, რაც აღნიშნული მეთოდის მნიშვნელოვან უარყოფით ზემოქმედებად შეიძლება მივიჩნიოთ;

- *ეროზიულ პროცესები;*
მსგავსი პროექტების განხორციელება იწვევს ეროზიულ პროცესებს რეზერვუარებში, არხებსა და წყლის მიმდებ სადგურებში, რაც როგორც წესი სათანადოდ არ არის ხოლმე შესწავლილი პროექტში;
- *წყლის ხარისხის გაუარესება;*
მსგავსი მეთოდით პროექტის განხორციელება იწვევს წყლის ხარისხის გაუარესებას, რაც უარყოფით ზემოქმედებას ახდენს თევზების მდინარეებისა და ტბების იხტიოფაუნაზე;
- *მდინარის დინების აუცილებელი მინიმუმი;*
როგორც წესი პროექტებში სათანადოდ არ არის ხოლმე შესწავლილი და განსაზღვრული მდინარის დინების აუცილებელი მინიმუმი, რაც აუცილებელია, როგორც მდინარის გასწვრივ მცხოვრები მოსახლეობის საჭიროებებისთვის (სარწყავი წყალი), ასევე თევზების არსებობისთვის (გამრავლება, მიგრაცია სხვ.), რაც იწვევს მდინარეში თევზების სახეობების განადგურებას;
- *გადასახლება და სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დაკარგვა;*
მსგავსი მეთოდით პროექტის განხორციელება როგორც წესი იწვევს ადგილობრივი მცხოვრებლების გადასახლებასა და მათი კუთვნილი სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მიზერულ თანხებში კომპენსაციას, რაც უარყოფით ზემოქმედებას ახდენს მათ შემდგომ ყოფაზე.

პროექტის ეკონომიკური მიზანშეწონილობა

სახელმწიფო აღნიშნული პროექტის განხორციელებას გეგმავს ე.წ. მშენებლობა-ფლობა-ოპერირების (მფო) სტრუქტურის გამოყენებით, რის გამოც საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრომ გამოაცხადა ინტერესთა გამოხატვა პროექტის განხორციელებით დაინტერესებული კომპანიების გამოვლენის მიზნით. ტენდერში გაიმარჯვა თურქულმა კომპანია “ენერჯისა“-მ, რომელიც აწარმოებს კვლევით სამუშაოებს და სავარაუდოდ **2010** წლის ბოლოს დაგეგმილია მოლაპარაკებების გამართვა კომპანიასა და ენერჯეტიკის სამინისტროს შორის პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებით³.

პროექტის წინასწარი ტექნიკურ-ეკონომიკური დახასიათების მიხედვით, განიხილება პროექტის განხორციელების ორი ვარიანტი: პირველი ვარიანტის შემთხვევაში იგეგმება **3** ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა **218.8** მგვტ დადგმული სიმძლავრით, რომლის ღირებულება შეადგენს **604** მილიონ აშშ დოლარს, ხოლო მეორე ვარიანტის შემთხვევაში დაგეგმილია **2** ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა **136.8** მგვტ დადგმული სიმძლავრით, რომლის ღირებულება შეადგენს **410** მილიონ აშშ დოლარს. პროექტი ძირითადად განკუთვნილია მშენებარე **500** კვტ-იანი გადამცემი ხაზით გამომუშავებული ელექტროენერჯის ექსპორტისთვის თურქეთში, თუმცა ზამთრის პერიოდში კომპანია ვალდებული იქნება გამომუშავებული ელექტროენერჯის ნაწილი მიყიდოს შპს. “ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს” **1**კვტ/სთ ენერჯია არაუმეტეს **4.8** აშშ ცენტად.

იმ დროს როცა მთავრობის მიერ 2006 წელს წარმოდგენილი გეგმებით საქართველოში შესაძლებელია 130 მგვტ საერთო დადგმული სიმძლავრის 20 მცირე ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა, რომლის ღირებულება იქნება დაახლოებით 144 მილიონ აშშ დოლარი⁴, ყოვლად გაუგებარია ეკონომიკური თვალსაზრისით აღნიშნული პროექტის განხორციელების მიზანშეწონილობა.

იმის გათვალისწინებით რომ საქართველოში დაგეგმილი ხუდონის ჰიდროელექტროსადგურის საშუალო ღირებულება შეადგენს 1.2 მილიონ აშშ დოლარს 1 მგვტ სიმძლავრის მისაღებად, თვალშისაცემია აღნიშნული პროექტის მაღალი ღირებულება, რომელიც 1 მგვტ სიმძლავრის მისაღებად შეადგენს 2.8-3 მილიონ აშშ დოლარს.

სოციალური ზემოქმედება

პროექტის წინასწარი ტექნიკურ-ეკონომიკური დახასიათების თანახმად, აღნიშნული პროექტის განხორციელება არ გამოიწვევს მნიშვნელოვან ზემოქმედებას ადგილობრივ მოსახლეობაზე, ვინაიდან დაგეგმილი ჰესების მიმდებარე ტერიტორიები არ არის მჭიდროდ დასახლებული.

მართალია პროექტის მიმდებარე ტერიტორიები არ არის მჭიდროდ დასახლებული, მაგრამ პროექტის განხორციელების შემთხვევაში მნიშვნელოვანი ზემოქმედების ქვეშ მოექცევიან სოფლები: რუსთავი, ტოლოში, ნიალა, ყარაბულაღი, ფანაქეთი, აგარა, ლებისი, გავეთი და ძველები. სამწუხაროდ, აღნიშნულ დოკუმენტში საერთოდ არ არის ნახსენები ეს სოფლები.

სოფ. რუსთავის (160 ოჯახი) მაცხოვრებლების განცხადებით, პროექტის განხორციელების შემთხვევაში მათ შესაძლოა შეექმნათ სარწყავი და სასმელი წყლის პრობლემები. სარწყავად ისინი იყენებენ მტკვრის წყალს, ხოლო ასპინძის რეზერვუარის აშენების შემთხვევაში მდ. მტკვარში შესაძლოა აღარ დარჩეს სარწყავად საჭირო ოდენობის წყალი, რაც გამოიწვევს სოფლის მოსახლეობისაგან დაცლას. გარდა სარწყავი წყლისა სოფლის ერთადერთი სასმელი წყლის მილი გადის იმ ადგილზე, სადაც დაგეგმილია სადაწნეო გვირაბის მშენებლობა, რამაც შესაძლოა სასმელი წყლის გარეშეც დატოვოს სოფელი.

პროექტში საერთოდ არ არის ნახსენები პროექტის ზემოქმედება **სოფ. ტოლოშის** მაცხოვრებლებზე. პროექტის განხორციელების შემთხვევაში ზემოქმედების ქვეშ ექცევა სოფლის მოსახლეობის მიწის ნაკვეთები, თუმცა მათთვის აღნიშნული პროექტის შესახებ არაფერი იყო ცნობილი (ხერთვისის ჰესის განთავსება იგეგმება სოფ. ტოლოშიდან 700 მეტრში).

პროექტის მიხედვით, ნიალას რეზერვუარის მშენებლობა იგეგმება ნიალას ველზე და მნიშვნელოვანი სოციალური ზემოქმედება აღნიშნულ უბანზე მოსალოდნელი არ არის, ვინაიდან ნიალას ველი ძირითადად გამოიყენება საძოვრებად და მუდმივი დასახლებები არ აღინიშნება. სამწუხაროდ პროექტში საერთოდ არ არის ნახსენები ნიალას ველზე განთავსებული **7 სოფელი (ნიალა, ყარაბულაღი, ფანაქეთი, აგარა, ლებისი, გავეთი, ძველები)**, რომელთაგან ყველაზე დიდი სოფელი არის ნიალა. ამ სოფლების მოსახლეობის ძირითადი საქმიანობა მესაქონლეობა და კარტოფილის მოყვანა წარმოადგენს. ნიალას ველზე რეზერვუარის მშენებლობამ შესაძლოა მათთვის საარსებო წყაროს დაკარგვა გამოიწვიოს.

კულტურული მემკვიდრეობა

⁴ 2006 წლის გაზაფხულზე მთავრობამ წარმოადგინა 30-მდე ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის გეგმები საერთო სიმძლავრით 511.5 მგვტ. თუმცა ტენდერი საკმაოდ წარუმატებელი აღმოჩნდა. ექსპერტების აზრით, ამის მთავარი მიზეზი იყო, ის რომ აღნიშნული ჰესების ტექნიკური შესაძლებლობები არ შეესაბამებოდა მდინარეების ენერგეტიკულ შესაძლებლობებს, თუმცა მაინც იყო შესაძლებელი 130 მგვტ საერთო სიმძლავრის 20-მდე ჰესის მშენებლობა რომლის სავარაუდო ღირებულება იქნებოდა 144 მილიონი აშშ დოლარი.

სამცხე-ჯავახეთი საქართველოს ერთ-ერთი უძველესი, განუმეორებელი და სრულიად გამორჩეული კუთხეა. მის ტერიტორიაზე ჯერ კიდევ შემორჩენილია მეგალითური კულტურის ძეგლები-მეგალითური, “ციკლოპური” გორა ნამოსახლარები და ციხეები, შუა საუკუნეების ნასოფლარები და სიმაგრეები, ადრექრისტიანული სტელა-ქვაჯვრები. მისი ეკლესიების კედლებზე მრავლადაა შემორჩენილი ლაპიდარული წარწერები.

ხერთვისის ციხე საქართველოში ერთ-ერთი საუკეთესოდ შემორჩენილი საფორთიფიკაციო ნაგებობაა. ხერთვისის ციხის აშენების ზუსტი თარიღი უცნობია, თუმცა ეკლესიაზე აღმოჩენილი წარწერის მიხედვით, ციხის აგების თარიღი შეიძლება 985 წელი ყოფილიყო⁵. რომც არაფერი ვიცოდეთ ხერთვისის ციხის ისტორიის შესახებ, მხოლოდ მისი არქიტექტურით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სიმაგრეს ხანგძლივი ისტორია გააჩნია.

ხერთვისიდან 3 კმ-ის დაშორებით, მტკვრის მარცხენა სანაპიროზე არის ნასოფლარი გელსუნდა და გამოქვაბულთა ჯგუფი, მის ზევით, მარჯვენა ნაპირზე ნავარძივის გამოქვაბულებია. მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზე ასევე შემორჩენილია მცირე სამონასტრო კომპლექსი ჭოლთა (ახლანდელი ჯოლდა), რომელიც VIII-IX საუკუნეებით თარიღდება. პროექტის განხორციელების შემთხვევაში ასევე მოსალოდნელია მნიშვნელოვანი ზემოქმედება აღნიშნულ ისტორიულ ძეგლებზე.

მნიშვნელოვანი ისტორიულ-კულტურული ღირებულების მატარებელია ასევე ნიალას ველი⁶, სადაც იგეგმება რეზერვუარის მშენებლობა. აქ მდებარეობს გავეთის ეკლესია, რომელიც XIII საუკუნის ერთ-ერთი საუკეთესო ნაგებობაა⁷.

ზემო ნიალაზე შემორჩენილია ორი ეკლესია. ამათგან ერთს, რომელიც შედარებით ზემოთ მდებარეობს უფრო ნაეკლესიარი ეთქმის, ამიტომ ის ბევრის ვერაფრის თქმის საშუალებას იძლევა. ბევრად უკეთ არის შემორჩენილი XIV-XV საუკუნეების ეკლესია.

ნიალას ველი ისტორიულ-კულტურული ღირებულების გარდა არქეოლოგიური თვალსაზრისითაც უაღრესად მნიშვნელოვანი ადგილია. საბჭოთა პერიოდში აღნიშნული ტერიტორიაზე აკრძალული იყო არქეოლოგიური კვლევების წარმოება, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ კი კვლევები ფინანსების არარსებობის გამო არ ჩატარებულა, შესაბამისად აუცილებელია პროექტის განხორციელებამდე ნიალას ველზე მოხდეს დეტალური არქეოლოგიური კვლევების განხორციელება.

მნიშვნელოვანი ისტორიულ-კულტურული ღირებულების მატარებელია X-XIII საუკუნეების ოლოდას გამოქვაბულთა კომპლექსი და ნასოფლარი, რომელიც ზედ თურქეთ-საქართველოს საზღვარზე არის გაშენებული. აქ შემონახული ქვაბთა ანსამბლი ერთ-ერთი კარგად შემონახულია საქართველოში. მონასტრიდან 800 მეტრის დაშორებით დაგეგმილი რეზერვუარის მშენებლობას უაღრესად უარყოფითი ზეგავლენა ექნება კომპლექსზე რაც პროექტში საერთოდ არის იგნორირებული.

⁵ ლეონტი მროველის ცნობით (XI საუკუნე), რომელიც ზეპირ ტრადიციას უნდა ემყარებოდეს, აღექსანდრე მაკედონელს ძვ. წ. IV საუკუნის 20-იან წლებში საქართველოს სხვა ციხე-ქალაქებთან ერთად უნახავს ხერთვისიც, თუმცა მაკედონელის საქართველოში ლაშქრობას ისტორიული მეცნიერება არ იზიარებს. კ. მელითაურის ვარაუდით, რომელიც ეყრდნობა ეკლესიაზე არსებულ წარწერას, სადაც დიმიტრი ბაქრაძის ცნობით ირჩეოდა სიტყვები „მეფეთ-მეფე“ და თარიღი 985 წელი, ხერთვისის ციხის აგების თარიღი შეიძლება ყოფილიყო სწორედ 985 წელი.

⁶ ზემო ნიალას ნასოფლარი 2.5 კმ-ითაა დაშორებული ქვემო ნიალას ნასოფლარიდან. ეს ორი სოფელი იმდენად მნიშვნელოვანი ყოფილა, რომ ქვეულა ცენტრად, რომლის სახელი გავრცელდა ველზე - „ნიალის ველი“, „ნიალისყური“ და „ნიალისყურის მთა“. ნიალის ველი საქართველოს ისტორიაში იმითაცაა ცნობილი, რომ თამარ მეფის ლაშქარმა 1191 წელს სასტიკად დაამარცხა მის წინააღმდეგ გამოსული ქმარყოფილი გიორგი რუსი

⁷ გავეთზე ლეგენდა არსებობს: მეზობლად (თურქეთის საზღვართან) მყოფ ქარზამეთის ეკლესიის აშენებისას, შეგირდს ოსტატი გასწვრომია და გაუგდია. გაბრაზებულ იშვეირდი წასულა და გავეთის ეკლესია აუშენებია.

დაგეგმილმა ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობამ შესაძლოა მნიშვნელოვნად დააზიანოს რეგიონში წარმოდგენილი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ისტორიული ძეგლი, ვარძიის სამონასტრო კომპლექსიც, რომელიც გამოკვეთილია კლდის საშუალო ფენაში. იგი გადაჭიმულია 500 მეტრის სიგრძეზე და შეიცავს 600-ზე მეტ სათავსოს. მისი მშენებლობა დაკავშირებულია გიორგი III სახელთან, თუმცა ვარძიას საბოლოო სახე თამარ მეფის მეფობის დროს მიეცა. საყურადღებოა, რომ თამარ მეფის ოთხი პორტრეტიდან ერთ-ერთი სწორედ ვარძიაშია დაცული.

ბიომრავალფეროვნება

აღნიშნულ პროექტებს მნიშვნელოვანი ზეგავლენა ექნება სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ბიომრავალფეროვნებაზეც. რეგიონი ბიომრავალფეროვნების კუთხით ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ადგილია საქართველოში აქ გავრცელებული წითელი ნუსხის ფლორისა და ფაუნის მრავალი სახეობებით (ნიალას ველი).

პროექტს მნიშვნელოვანი ზემოქმედება ექნება აგრეთვე მდ. მტკვარსა და ფარავანში არსებულ თევზების სახეობებზე. როგორც წესი სადერივაციო პროექტები იწვევს მდინარის წყლის ხარისხის გაუარესებას, რასაც უარყოფითი ზემოქმედება ექნება მდინარის იხტიოფაუნაზე. გარდა ამისა თევზების სახეობაზე მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს არასწორად შესწავლილი და განსაზღვრული მდინარის დინების აუცილებელი მინიმუმი, რაც აუცილებელია მდინარეში თევზების არსებობისთვის (გამრავლება, მიგრაცია სხვა.).

პროექტი რეგიონალურ ჭრილში

მდ. მტკვრის ზედა შენაკადზე დაგეგმილი ჰიდროელექტროსადგურების (ჰესი) კასკადის წინასწარ ტექნიკურ-ეკონომიკურ დახასიათების მიხედვით, მტკვრის ზედა შენაკადზე დაგეგმილი ჰიდროელექტროსადგურების (ჰესი) კასკადის (2-3 ჰესი) გარდა რეგიონში შესაძლებელია 9 მცირე, საშუალო და დიდი ჰესების მშენებლობა (იხ. რუკა). ეს ჰესებია:

მდინარე მტკვარზე 4 ჰესის: 1. საყუნეთი ჰესი - 10.4 მგვტ; 2. აწყური ჰესი - 10.4 მგვტ; 3. დვირი ჰესი - 10.4 მგვტ; 4. მტკვარი ჰესი - 46.2 მგვტ⁸;

მდინარე ფარავანზე 5 ჰესი: 1. არაკალი ჰესი - 10.8 მგვტ; 2. აბული ჰესი - 20 მგვტ; 3. ტაბაწყური ჰესი - 12.8 მგვტ; 4. ხალქალაქი ჰესი - 14.6 მგვტ; 5. ფარავანი ჰესი - 85.7 მგვტ.

ზემოთაღნიშნული ჰესებიდან სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს 65 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების მტკვარისა⁹ და 125 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების ფარავნის¹⁰ ჰესებზე.

⁸ ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, ჰესი არის 43მგვტ;

⁹ <http://www.minenergy.gov.ge/download.php?file=HPPEN/Geo.pdf>

¹⁰ <http://www.minenergy.gov.ge/download.php?file=HPPEN/Geo.pdf>




Figure I.1 Optimal utilization development plan for the upper Mikvart River

მტკვარი ჰესის საპროექტო ზონა განთავსებულია მდინარე მტკვარზე ქ. ახალციხის მახლობლად და სოფელ რუსთავთან. ჰიდროელექტროსადგური განთავსდება სოფელ საყუნეთიდან 1 კმ-ის მანძილზე, ხოლო სათავე ნაგებობა სოფელ რუსთავთან 3 კმ-ში (ამავე ტერიტორიაზე იგეგმება ასპინძის ჰესის მშენებლობაც), საიდანაც მოხდება 9.6 კმ-იანი დასაწნევი გვირაბის საშუალებით შედინების გადაყვანა ელექტროსადგურისკენ მდინარის ყელის 27 კმ-იანი შემოვლით.

ფარავანი ჰესის მშენებლობა ხორციელდება ახალქალაქისა და ასპინძის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე. ჰესის განთავსება დაგეგმილია მდ. მტკვრისა და მდ. ფარავნის შესართავიდან დაახლოებით 1 კმ-ის დაშორებით ვარძიის მიმართულებით და სოფელი ხერთვისიდან დაახ. 700 მეტრის მანძილზე (დაგეგმილი ხერთვისის ჰესის პირდაპირ) მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე. ხოლო სათაო ნაგებობის განთავსება დაგეგმილია მდ. ფარავნისა და მდ. კორხისწყლის შესართავიდან დაახ. 150 მეტრის დაშორებით, საიდანაც 14 კმ-იანი სადერივაციო გვირაბი შედინებას გადაიყვანს ელექტროსადგურისაკენ.

საჯარო განხილვები და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

2009 წლის 21 ოქტომბერს ახალციხის გამგეობის შენობაში გაიმართა მტკვარი ჰესის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა. სამწუხაროდ აღნიშნული განხილვის შესახებ

არაფერი იყო ცნობილი სოფ. საყუნეთის (დაახ. 1 კმ პროექტის ადგილიდან) მოსახლეობისათვის. ადგილობრივი მოსახლეობის განცხადებით, ისინი გაფრთხილებულნი იყვნენ მშენებლობაზე დასაქმებასთან დაკავშირებით, თუმცა საბოლოო ჯამში სოფლიდან მხოლოდ იმ პირების ოჯახის წევრები დასაქმდნენ, რომელთა მიწის ნაკვეთები მოხვდნენ პროექტის ზემოქმედების ქვეშ (დაახ. 15 კაცი). საჯარო განხილვების შესახებ არაფერი იყო ცნობილი ასევე სოფ. რუსთავის მოსახლეობისთვისაც.

2009 წლის 26 ოქტომბერს საჯარო განხილვები გაიმართა ასპინძასა და ახალქალაქში ფარავნის ჰიდროელექტროსადგურის პროექტის თაობაზე. როგორც მტკვარი ჰესის შემთხვევაში აღნიშნული განხილვების შესახებ არაფერი იცოდნენ სოფელ ხერთვისშიც. მათთვის ცნობილი იყო ზოგადად პროექტის შესახებ, თუმცა კონკრეტულად რა ზემოქმედება შეიძლება ჰქონდეს პროექტს მათზე, ამის შესახებ არაფერი იცოდნენ. ანალოგიურად საჯარო განხილვების შესახებ არაფერი იცოდნენ სოფელ ტოლოშშიც, რომელთა განცხადებითაც მსგავსი შეხვედრის გამართვის შემთხვევაში, მათ ამის შესახებ სოფლის გამგებელი აუცილებლად აცნობებდა.

უკვე გაცემული ნებართვები

დღეის მდგომარეობით გარემოსდაცვითი ნებართვები უკვე გაცემულია მტკვრისა და ფარავნის ჰესებზე. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ნებართვები გაცემულია ჰესების სათაო ნაგებობებსა და სადაწნეო გვირაბების მშენებლობებისთვის, თუმცა ნებართვაში არაფერი არ არის ნათქვამი რეზერვუარების მოწყობაზე, საიდანაც უნდა მოხდეს წყლის შედინების გადაყვანა ჰესებისკენ, რაც ნათლად მიუთითებს პროექტების დაგეგმვის არასრულფასოვნებაზე, რასაც შესაძლოა მოჰყვეს გამოუსწორებელი შედეგები გარემოსა და კულტურულ მემკვიდრეობაზე.

თავსებადობა გარემოზე ზემოქმედების სტრატეგიული შეფასების ანგარიშთან

2007 წლის დეკემბერში ენერგეტიკის სამინისტრომ გამოსცა ენერგოსისტემის განვითარების გარემოზე ზემოქმედების სტრატეგიული შეფასების საბოლოო ანგარიში. ანგარიშის **5.3.1** თავი ეძღვნება საქართველოში ჰიდროგენერაციის პოტენციალს, სადაც განსაზღვრულია პოტენციური ჰესების მშენებლობა საქართველოს მთელს ტერიტორიაზე მათ შორის სამცხე ჯავახეთის რეგიონშიც.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ პოტენციური ჰესების სიაში გარდა მტკვარი ჰესისა არ შედის არცერთი სხვა ჰესი, რომელიც მოცემულია მდ. მტკვრის ზედა შენაკადზე დაგეგმილი ჰიდროელექტროსადგურების (ჰესი) კასკადის წინასწარ ტექნიკურ-ეკონომიკურ დახასიათებაში (გარდა მცირე ჰესებისა).